ჯიუდლიტელი

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№7-8 (49-50) ივლისი-აგვისტო 2011 წელი

წმ. მოწამე ევსტათი მცხეთელი

ისევ ერთად

„ღამის სერენადები“

ბიულეტენი გამოდის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) ლოცვა-კურთხევით 2007 წლის ივლისიდან

ყნდა იტოდე, რა გწამს...

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება, რომელსაც ხელმძღვანელობს დეკანოზი ბიძინა გუნია. მიმდინარე წელს რამდენიმე მაგისტრანტმა სადიპლომო ნაშრომი სწორედ თეოლოგიის საკითხებზე დაიცვა: კახაბერ როგავა: „საღმრთისმეტყველო საკითხები წმ. გრიგოლ პალამას ჰომილიების მიხედვით"; მარინა ქადაგიშვილი: „ქართული პოლემიკური წყაროები მონოფიზიტობის შესახებ"; გიორგი ლობჯანიძე: „გამოცემული ძველი ქართული საღმრთისმეტყველო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია"; დეკანოზი პეტრე კვარაცხელია: „რელიგიური პროცესები ქვემო ქართლში უძველესი დროიდან დღემდე"; ნინო ჭუბაბრია: „ზნეობრივი სწავლებანი ბასილი დიდის ჰომილიების მიხედვით". ხელმძღვანელები იყვნენ პროფესორები: გვანცა კოპლატაძე, გრიგოლ რუხაძე და ელდარ ბუბულაშვილი.

კახაბერ როგავა:

— ჩემი სამაგისტრო ნაშრომი **„საღმრთისმეტყველო საკითხები წმ. გრიგოლ პალამას ჰომილიების მიხედვით"** წარმოადგენს მონოგრაფიას, რომელიც თესალონიკის მთავარეპისკოპოსის, გამოჩენილი მქადაგებლის და დოგმატისტის, ისიხაზმის სისტემატიზატორის წმ. გრიგოლ პალამას (1296-1359) ჰომილიებში, ანუ ქადაგებებში გადმოცემული თეოლოგიური საკითხების კომპლექსურ ანალიზს ეძღვნება. მასში სისტემატურად არის განხილული წმინდა მამის როგორც ტრიადოლოგიური, ქრისტოლოგიური, ანგელოლოგიური და ანთროპოლოგიური სწავლანი, ისე ცალკეული ეგზეგეტიკური გადმოცემები.

თავის „ჰომილიებში" გრიგოლ პალამა თითქმის სრულად მოიცავს სახარების ყველაზე მნიშვნელოვან ადგილებს და გვაძლევს მათ საღმრთისმეტყველო განმარტებებს. მის ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სწავლებას თაბორის ნათელის შესახებ და ასევე საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი სწავლებას ღმრთისმშობელზე. არაერთხელ უბრუნდება იგი საკითხს ადამიანის გამოხსნის საღმრთო განგებულების შესახებ და ამომწურავად განმარტავს მას.

ჩემი თემის მიზანი იყო გრიგოლ პალამას ჰომილიებიდან გამომეყო და წარმომეჩინა უმნიშვნელოვანესი საღმრთისმეტყველო საკითხები და წმინდა წერილის ზოგიერთი ადგილის ეგზეგეტიკური ჩანართები.

მარინა ქადაგიშვილი:

— სანამ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბარებდი, ვსწავლობდი თბილისის საღვთისმეტყველო ინსტიტუტში, ფსიქოლოგია-რელიგიათმცოდნეობის ფაკულტეტზე. III კურსის დასრულების შემდეგ ჩემმა მოძღვარმა, დეკანოზმა ბიძინა გუნიამ, შემატყობინა, რომ ს.ს.უ.- ში გაიხსნა ახალი პროგრამა და მირჩია საბუთების შეტანა იქიდან გამომდინარე, რომ ღვთისმეტყველება ამოუწურავია და მის შესწავლას ერთი ადამიანის მთელი ცხოვრებაც არ ეყოფა, გადავწყვიტე, ჩემი ცოდნა ამ სფეროში უფრო გამეღრმავებინა. ვერ ვიტყვი, რომ ორი წელი მუხლჩაუხრელ შრომაში გავატარე, მაგრამ ჩვენს პროფესორებს ძალ-ღონე არ დაუშურებიათ, რისთვისაც მათ უღრმეს მადლობას მოვახსენებ. როდესაც დადგა სადიპლომო თემის არჩევის დრო, მიუხედავად თემების მრავალფეროვნებისა, საკითხი პრაგმატულად გადავწყვიტე. ჩემს სადიპლომო ნაშრომს ჰქვია „ქართული პოლემიკური წყაროები მონოფიზიტობის შესახებ". თემა ეხება ქართულ-სომხურ სარწმუნოებას და ურთიერთობებს.

ამ თემასთან კიდევ ერთხელ მიბრუნება გვიჩვენებს, რომ საკითხი ჩვენთვის აქტუალურია და ზოგჯერ მტკივნეულიც. ჩვენ დღემდე გვაწუხებს საკითხი სომხეთთან მიმართებაში, სულ ცოტა ხნის წინ სომხეთის პატრიარქის გარეგინ II სტუმრობისას გაირკვა, რომ ისინი პრეტენზიას აცხადებენ საქართველოში 600 ეკლესია-მონასტერზე (გამოდის, რომ საქართველოში ეკლესიები მარტო სომხებს უშენებიათ) და არის კიდევ სხვა მრავალი საკითხი, რომელიც რელიგიური მოტივებით არის აღძრული და ხშირად პრობლემებს ქმნის ურთიერთობებში.

ვფიქრობ, უნდა შევეჩვიოთ ეროვნული ინტერესების უფრო მტკიცედ დაცვას და იმას, რომ ეროვნული იდენტობის დაცვა არ არის შოვინიზმი.

ნინო ჭუბაბრია:

— 2000 წ. დავამთავრე ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი გერმანული ენის სპეციალობით.

2009 წ. ჩავაბარე სს.უ თეოლოგიის მაგისტრატურაში, მამა ბიძინას კურთხევით. ჩემი სამაგისტრო ნაშრომია „ზნეობრივი სწავლება ბასილი დიდის ჰომილიების მიხედვით".

ქრისტიანული რელიგიის მიხედვით ადამიანის ცხოვრების მიზანი მარადიული სიცოცხლის და ნეტარების მოპოვებაა, რომელიც ძირითადად 2 გზით მიიღწევა: მართალი სარწმუნოებითა და კეთილი საქმეებით, ანუ ზნეობრივი სრულყოფით. სწორ აღმსარებლობასთან ერთად აუცილებელია კეთილი საქმეებიც, რადგან, როგორც იაკობ მოციქული გვასწავლის, სარწმუნოებაᲘ თვინიერ საქმეთაგან მკუდარ არს. (იაკობ.2,26)

ქრისტიანული ღმრთისმეტყველება დოგმატურ სწავლებასთან ერთად აუცილებლად მოიცავს ზნეობრივ სწავლებასაც. ქრისტიანი მოაზროვნენი თავიანთ ეგზეგეტიკურსა თუ ჰომილეტიკურ თხზულებებს ძირითადად ამ ორ საკითხზე აგებდნენ. ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც წმინდა ბასილი დიდია. ღმრთისმეტყველების მნათობი, როგორც მას წმინდა ამფილოქე იკონიელმა უწოდა, თავის საღმრთისმეტყველო ნაშრომებში იძლევა სწავლებებს ზნეობრივ იდეალებსა და მათი მიღწევის გზებზე. გარდა იმისა, რომ ამგვარ სწავლებებს ჩვენ ვხვდებით ისეთ საღმრთისმეტყველო თხზულებაში, როგორიც „ჰომილიები ექვსი დღისათვისაა", ქრისტიანული ზნეობის საკითხები უხვადაა მოცემული, აგრეთვე, „ფსალმუნთა კომენტარებშიც". ბასილი დიდმა მათ მთელი რიგი ქადაგებანი მიუძღვნა, სახელწოდებით „სწავლანი", რომელიც XI საუკუნეში ექვთიმე იბერიელმა თარგმნა.

სამაგისტრო შრომა მიზნად ისახავს ზნეობრივ სწავლებათა მოძიებას ბასილი დიდის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, მათ სისტემატიზაციასა და კომენტირებას ქრისტიანული ღმრთისმეტყველების საფუძველზე.

გვანცა კოპლატაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პრო-

(გაგრძელება მე-4 გვ.)

ყველა იცოდე, რა გწამს...

(დასაწყისი მე-3 გვ.)

ფესორი, გაზეთ „მადლის“ რედაქტორი, საპატრიარქო გამომცემლობის თავმჯდომარე:

— დეკანოზ ბიძინა გუნიას ღვაწლით, მისი მონდომებით არსებობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამა თეოლოგიაში. მინდა მადლიერება გამოვხატო, აგრეთვე, რექტორის პროფესორ იოანე (ჯონი) აფაქიძის მიმართ, რომელიც დიდ მხარდაჭერას გამოხატავს ამ პროგრამისადმი. იშვიათად მეგულება დღეს საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის რექტორი, რომელიც ასეთი გულითადობით იყოს განწყობილი მართლმადიდებლური საეკლესიო მეცნიერებისადმი.

რაც შეეხება თავად მაგისტრანტებს, უნდა აღვნიშნო, რომ ყველა მათგანმა გულმოდგინება გამოიჩინა სწავლის პროცესშიც და განსაკუთრებით სამაგისტრო თემებზე მუშაობისას. შედეგიც საკმაოდ საინტერესო და კარგი მივიღეთ, რაც დაცვისას ნათლად გამოჩნდა. შერჩეული თემებიც დღეისათვის აქტუალური და პრობლემური იყო. მაგალითად, კახა როგავას სამაგისტრო თემა „საღმრთისმეტყველო საკითხები გრიგოლ პალამას ჰომილიების მიხედვით“, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ენაზე პირველად შექმნილი მონოგრაფიაა გრიგოლ პალამას სწავლებათა შესახებ. ასევე ძალიან საჭირო საქმე გააკეთა გიორგი ლობჯანიძემ თავისი სამაგისტრო ნაშრომით „გამოცემული ძველი ქართული საღმრთისმეტყველო ტექსტების ბიბლიოგრაფია“. უნდა აღინიშნოს, რომ მაგისტრანტმა ყველა კრებულის, რომელშიც ეს ტექსტებია გამოქვეყნებული, ანოტაციები წარმოადგინა. დღეს ყველა დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გიორგი ლობჯანიძის ნაშრომში ნახოს რომელი ტექსტია გამოცემული, ვის მიერ და რამდენგზის.

მარინე ქადაგიშვილის სამაგისტრო ნაშრომი „ქართული პოლემიკური წყაროები მონოფიზიტობის შესახებ“ მიეძღვნა საკითხს, რომელიც დღესაც ისევე აქტუალურია, როგორიც საუკუნეთა წინ, კერძოდ, სარწმუნოებრივ საკითხებზე წარმოშობილ კამათს მონოფიზიტებთან, ჩვენს შემთხვევაში სომხებთან. მაგისტრანტმა სრულად და, რაც მთავარია, ობიექტურად შეისწავლა წყაროები და წარმოადგინა მეცნიერულ დონეზე გამართული ნაშრომი, დაწერილი სწორი პოზიციის საფუძველზე, გარეშე ყოველგვარი მიკერძოებისა. ნინო ჭუბაბრიამ თემად „ბასილი დიდის ზნეობრივი სწავლებანი“ შეარჩია. აქტუალურობა არც ამ ნაშრომს აკლდა, რადგან ქრისტიანულ რელიგიაში სარწმუნოებრივი და ზნეობრივი სწავლებანი ერთმანეთის გარეშე არ წარმოიდგინება; ხოლო იმის შესახებ, თუ რამდენად საჭიროა დღეს დაცემული ზნეობის აღსადგენად მსოფლიო ეკლესიის მოძღვრების სწავლებათა შესწავლა, სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

დაცვის პროცესი ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობდა. მაგისტრანტები აუდიტორიის წინაშე სოლიდურად წარდგნენ, ისე კარგად იყვნენ მომზადებულნი, თითქოს მანამდე გამოცდილება ჰქონდათ შეძენილი საზოგადოების წინაშე თავიანთი ნაშრომების დაცვისა. განსაკუთრებით ითქმის ეს მამა პეტრეს (კვარაცხელიას) შესახებ, რომლის სამაგისტრო ნაშრომი ქვემო ქართლის ტაძრების ისტორიასა და მათ დღევანდელ მდგომარეობას ეხებოდა. ამ სამაგისტრო ნაშრომსაც პრობლემური ხასიათი ჰქონდა, რადგან, როგორც ცნობილია, ქვემო ქართლის ტაძრები ხშირად დავის საგანი ხდება ჩვენსა და სომხებს შორის.

არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ითქვას ფილოსოფიის დოქტორ გრიგოლ რუხაძის შესახებ. თვითონ მაგისტრანტებიც, დღეს უკვე მაგისტრები, დამეთანხმებიან, როგორ საფუძვლიანად, ენერგიის დაუზოგველად და მაღალი პროფესიონალიზმით ასწავლის იგი თავის საგანს სტუდენტებს; ხოლო რაც შეეხება იმ წვლილს, რომელიც მას, როგორც ხელმძღვანელს, ზემოხსენებული მაგისტრების: კახა როგავას, გიორგი ლობჯანიძისა და მარინე ქადაგიშვილის სამაგისტრო ნაშრომების მომზადებაში მიუძღვის, მისი სიტყვებით გამოხატვა ძნელია.

განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ზემოაღნიშნული სამაგისტრო თემები სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამუშავდა და მომზადდა. თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში, როგორც პედაგოგი, მეც ვარ ჩართული და მიხარია, რომ მშობლიური კუთხიდან გამოდევნილ უნივერსიტეტს ვემსახურები, რომელიც თავის მხრივ, სამსახურს უწევს ქართულ ეკლესიას ამ სამაგისტრო პროგრამის არსებობითა და თეოლოგიის მაგისტრების მომზადებით.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალგაზრდებმა, მიუხედავად იმისა, რომ მათ უმრავლესობას საერო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა აირჩიეს. ესეც მამა ბიძინას დამსახურებაა, რომელიც თავადაც დიდ პატივს სცემს მეცნიერებას და ახალგაზრდებსაც — თავის სულიერ შვილებსაც ამას ასწავლის. როგორც ჩანს, ახალგაზრდებს იგი სამაგალითოდ ესახებათ და ცდილობენ მის გზას გაჰყვნენ.

საერთოდ ქრისტიანობა მისი მიმდევრებისაგან მოძღვრების შეგნებულად შესწავლას მოითხოვს. მაცხოვარი თავის მოწაფეებს ეუბნება: თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, აღარ გიწოდებთ მონებს, რადგან მონამ არ იცის რას აკეთებს მისი ბატონი; ხოლო თქვენ მეგობრებს გიწოდებთ, რადგან რაც მამისაგან ვიცი, ყოველივე თქვენ გაუწყეთო. თავისი მოძღვრება თვითონ უფალმა გვასწავლა და მოციქულებსაც იგივე დაავალა. ქრისტიანული რელიგია მეცნიერებაა შემოქმედზე და ქმნილებაზე და ამიტომ მას მეცნიერული შესწავლა სჭირდება. მარტო კი არ უნდა გწამდეს, არამედ, ისიც უნდა იცოდე, რა გწამს, მხოლოდ ამ შემთხვევაში არის ადამიანის რწმენა მტკიცე.

როგორც ვიცი, მაჰმადიანურ რელიგიაში მხოლოდ მოლას აქვს ყურანის წაკითხვის უფლება. ჩვენი ეკლესია კი ყოველ წელს საზოგადო კალენდარს გამოსცემს, რომელშიც მორწმუნეთათვის მითითებულია ყოველდღიური საკითხავები სახარებიდან და სამოციქულოდან. ეკლესიას განათლებული მორწმუნეები სჭირდება, რომელთაც იციან, რა სწამთ და რატომ სწამთ. მამა ბიძინა თავისი მოძღვრებითაც და პედაგოგიური მოღვაწეობითაც სწორედ ამას უწყობს ხელს. მახსოვს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შემდეგ ნინო ჭუბაბრიამ თქვა: ამ პროფესიით რომ არ ვიმუშაო, ის მაინც მიხარია, რომ ამდენი რამე გავიგე და ვიცი ჩემი სარწმუნოების შესახებო.

აფხაზეთში ფესტივალი „ღამის სერენადები“ სცენიჯ სიცოცხლეს აბრძოლებს

საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟით 2011 წლის 25-28 აგვისტოს ბათუმის III საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა

— ფესტივალმა „ღამის სერენადები“ არსებობა 1982 წელს დაიწყო ბიჭვინთაში. წლების მანძილზე ჩვენ, აფხაზეთის მკვიდრთ, საშუალება გვქონდა მოგვესმინა კლასიკური მუსიკა მსოფლიოს საუკეთესო შემსრულებლების ინტერპრეტაციით. ამჟამად ამ სახელწოდებით ფესტივალი იმართება ბათუმში. თქვენი აზრით, რა არის საერთო მათ შორის.

—მას შემდეგ, რაც ბიჭვინთის ფესტივალმა არსებობა შეწყვეტა, ქალბატონ ლიანას აწუხებდა აზრი იმის თაობაზე, რომ ამ ფესტივალის იდეა არ ჩამკვდარიყო. იდეა კი მდგომარეობდა იმაში, რომ საქართველოში ყოფილიყო მაღალი გემოვნების კლასიკური მუსიკის ზეიმი, რასაც ნამდვილად პასუხობდა ბიჭვინთის ფესტივალი. იგი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იყო საბჭოთა კავშირის სივრცეში. ბიჭვინთაში ფესტივალზე დასასწრებად სპეციალურად ჩამოდიოდნენ ცნობილი მუსიკოსები, მხატვრები, ლიტერატორები, პოლიტიკოსებიც კი. მას სტუმრობდნენ ალფრედ შნიტკე – კომპოზიტორი, კურტ მაზური — დირიჟორი, ანატოლი სობჩაკი და სხვა ცნობილი ადამიანები. აფხაზეთის მკვიდრთათვის ეს იყო ნამდვილი დღესასწაული და ბევრი მათგანი დღესაც დიდი სიამაყით იხსენებს ფესტივალის ბიჭვინთისეულ პერიოდს. ამის ნათელი დადასტურებაა, რომ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა აქტიურ ინტერესს იჩენს ბათუმის „ღამის სერენადებისადმი“. სწორედ ამ განცდამ და ხალხის მხრიდან ამ ფესტივალისადმი დიდმა სიყვარულმა გადააწყვეტინა ქალბატონ ლიანას ისევ საქართველოს ზღვისპირეთში აეღორძინებინა ეს იდეა და უკვე აჭარაში, ბათუმის მერიის ხელშეწყობითა და მხარდაჭერით, გააგრძელა ეს პროექტი იმავე სახელწოდებით — „ღამის სერენადები“.

— როგორც ცნობილია, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით წლევანდელი ფესტივალი ქართველი და აფხაზი ხალხის მეგობრობას მიეძღვნა. 20 აგვისტოს შედგა შეხვედრა საპატრიარქოში. რას გვეტყვით ამ შეხვედრის შესახებ?

— პატრიარქის კურთხევამ, რომ წლევანდელი წელი გამოცხადებულიყო ქართველი და აფხაზი ხალხის მეგობრობის წლად, გადააწყვეტინა ქალბატონ ლიანას მესამე ფესტივალი მიეძღვნა აფხაზი და ქართველი ხალხის მეგობრობისათვის. ჩვენთვის საამაყოა, რომ წელს ამ ღონისძიების ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი გახლდათ მისი გენერალური მენეჯერის ბატონი ლაშა ჟვანიას ხელმძღვანელობით. ბათუმში გამგზავრებამდე უწმიდესმა ქალბატონი ლიანა და ფესტივალის ორგანიზატორები მიგვიღო. ეს იყო ამაღელვებელი შეხვედრა. პატრიარქის ლოცვა-კურთხევამ თითოეული ჩვენგანი იმ სულისკვეთებით განგვაწყო, რომ ფესტივალი ნამდვილად წარმატებული იქნებოდა.

—ასე მოხდა კიდეც. როგორი ასახვა ჰპოვა ფესტივალის რეპერტუარში აფხაზი და ქართველი ხალხის მეგობრობის თემამ?

— ვფიქრობ, რომ ლაიტმოტივი სწორედ ეს იყო, რომლის ლოგიკური დასრულებაც მოხდა ბოლო კონცერტზე. ამ დღეს ქალბატონმა ლიანამ სცენაზე მიიწვია ახალგაზრდა მომღერალი, აფხაზეთიდან დევნილი, სალომე ჯიქია. ლიანა ისაკაძემ — ქართველმა მევიოლინემ, კატია სკანავიმ — რუსმა პიანისტმა და სალომე ჯიქიამ — მომღერალმა აფხაზეთიდან მსმენელს შესთავაზეს რახმანინოვის უკვდავი რომანსი პუშკინის ლექსზე „ ნუ მიმღერ, ლამაზო, სევდიანი საქართველოს სიმღერას...“ ეს იყო კონცერტის ყველზე ემოციური აკორდი. მერწმუნეთ, რომ ამან ისეთი მძლავრი მუხტი აღძრა თითოეულ მსმენელში,რომ სიმღერის შემდეგ დამსწრე საზოგადოება ადგილებიდან ერთსულოვანად წამოიშალა და მქუხარე აპლოდისმენტებით დააჯილდოვა შემსრულებლები. ამ წუთებში დარბაზი მოიცვა სევდის, სიხარულის, ბედნიერების განცდამ. განსაკუთრებით მღელვარე იყო ეს წუთები სალომე ჯიქიასათვის, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება ყოფილიყო მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ნამდვილი ვარსკვლავების პარტნიორი.

— წელს ჩამოსული შემსრულებლებიდან რომელს გამოარჩევდით თქვენ პირადად და ვინ დაიმსახურა მაყურებლის განსაკუთრებული სიმპათია. ბუნებრივია, ლიანა ისაკაძის გარდა.

— წლევანდელ ფესტივალზე შესანიშნავი მუსიკოსების ვარსკვლავთცვენა იყო, თუმცა, ლიანა ისაკაძე მართლაც გამორჩეულია. თითოეული მონაწილე მიიჩნევდა, რომ მისთვის დიდი პატივი იყო ლიანას პროექტში მონაწილეობა. ეს პროექტი კი უნიკალური გახლდათ იმდენად, რამდენადაც ლიანა ისაკაძემ მსოფლიოში უპრეცენდენტო საერთაშორისო კამერული ორკესტრი „ფეისბუქის ვირტუოზები“ შექმნა. ამ ორკესტრში მან გააერთიანა ისეთი კლასის მუსკოსები, რომლებსაც თვითონ აქვთ საკუთარი ორკესტრები და საერთაშორისო ფესტივალები

(გაგრძელება მე-6 გვ.)

(დასაწყისი მე-5 გვ.)

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ესენია: დიმიტრი ბერლინსკი — მევიოლინე, აშშ-ში ორკესტრ „საერთაშორისო კამერული სოლისტების“ დამაარსებელი, ალექსანდრე რუდინი — ვიოლონჩელისტი, მოსკოვის კამერული ორკესტრის „მუზიკა ვივას“ სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, მისი ვაჟი, ახალგაზრდა მევიოლინე თეოდორ რუდინი, საფრანგეთში ინსტრუმენტულ ანსამბლ „პარიზის ვირტუოზების“ დამაარსებელი და ხელმძღვანელი, იური ჟისლინი — მევიოლინე, ინგლისში ანსამბლ „ევროპის ვირტუოზების“ დამაარსებელი და სხვ. ფესტივალის დასრულების შემდეგ თითოეული მათგანი იმ იმედით დაშორდა ქალბატონ ლიანას, რომ ასეთმა პროექტმა აუცილებლად უნდა გააგრძელოს სცენური სიცოცხლე.

აქვე, მინდა სიამაყით აღვნიშნო, რომ ასეთი ცნობილი მუსიკოსების გვერდით შესანიშნავად აჩვენეს თავი ქართველმა მუსიკოსებმაც, რომელთა შორის, უპირველეს ყოვლისა, გამოვყოფ თამარ ლიჩელს, წარმატებულ პიანისტს რომელიც უკვე მეორედ იღებს მონაწილეობას ფესტივალ „ღამის სერენადებში“.

— ***გონიოში ფესტივალის ბოლო კონცერტიდან შემოსული თანხა მახათას მთაზე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის დედათა მონასტრის მშენებლობას უნდა მოხმარდეს. რას იტყვით ასეთ ქველმოქმედებაზე?***

— საერთოდ, უკვე ტრადიციად იქცა, რომ ამ ფესტივალის ერთ-ერთი კონცერტის შემოსავალი ხმარდება ქველმოქმედებას. გასულ წლებში დავეხმარეთ უნარშეზღუდული ბავშვების საქველმოქმედო ორგანიზაცია „პირველ ნაბიჯს“, ხოლო წელს კი ქალბატონმა ლიანამ გადაწყვიტა ჩვენი მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა თითოეული ჩვენგანისთვის ძალზე მნიშვნელოვან საქმეში — მახათას მთაზე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობაში.

— **ასეთი მასშტაბური ფესტივალის ჩატარება სერიოზულ ორგანიზაციულ სამუშაოს და ფინანსურ მხარდაჭერას მოითხოვს...**

— გეთანხმებით, პროცესი მართლაც რთულია, რადგან კლასიკური მუსიკის პროპაგანდის პროექტებს მხარდაჭერის მსურველი ბევრი არ ჰყავს. მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენ კლასიკური მუსიკის ნამდვილი დამფასებლები დაგვიდგნენ გვერდით. ესენი არიან: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ბათუმის მერია, ბანკი „რეს-პუბლიკა“, რომელმაც ფესტივალის გენერალური სპონსორობა ითავა, მედია-პარტნიორები — საზოგადოებრივი მაუწყებელი, აჭარის ტელევიზია... რომელი ერთი დავასახელო. მადლობას ვუხდი მათ და ყველას, ვინც თავისი თანადგომით დაგვეხმარა, რომ საზოგადოებისთვის მორიგი დიდი ზეიმი მოგვეწყო.

ფესტივალ „ღამის სერენადების“
მთავარ მენეჯერ
მარიამ დავითაშვილს
ესაუბრა ***ციცინო ჯულუხიძე***

ისევ ერთად

„დავანგრიოთ უნდობლობისა და სიძულვილის კედელი“ — ამ პროექტის პრეზენტაციაზე შეკრიბა ქართულ-ფინური მეგობრობის ასოციაციამ და ორგანიზაციამ „თბილისი-ჰელსინკი და ევროპული ალიანსი საქართველოსათვის“ ქართველი, აფხაზი და ოსი ბავშვები. კონცერტი რიყეზე გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ პანტომიმის თეატრისა და თეატრ „მეტეხის“ მსახიობები. გამოყენებული იყო ქართველთა და აფხაზთა მეგობრული თანაცხოვრების ვიდეო და ფოტო-კადრები. შეხვედრის მონაწილეები დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. საპატრიარქოში გამართულ შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ პროექტის ორგანიზატორები და აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბა. სულიერებისა და კულტურის ცენტრმა მიაწოდა, აგრეთვე, აფხაზური ცეკვის აუდიოჩანაწერი, რომელზედაც გუდაუთელმა აფხაზმა ბიჭუნამ იცეკვა. თბილისის შემდეგ მოზარდები იყვნენ სიღნაღში, ლაგოდეხის ნაკრძალში, საჩხერეში, დამამთავრებელ აკორდს კი ბათუმი წარმოადგენდა, სადაც მათ საერთაშორისო საზაფხულო სპორტულ-გამაჯანსაღებელ სარეაბილიტაციო სკოლა „ევრიკაში“ ელოდნენ. ბავშვებს ძალიან მოეწონათ საქართველო, თანატოლები და აღფრთოვანებულები ელიან მომავალ შეხვედრას, რომელიც ა.წ. დეკემბერში უკვე ფინეთში შედგება.

ჩვენებური

კიდევ ერთი საინტერესო ინდივიდუალობა

ახალგაზრდა მხატვარი **დავით ბაძაღუა** აფხაზეთის მკვიდრია. იგი 1972 წლის 2 მაისს დაიბადა აფხაზეთში (გალი). 1989 წელს წარჩინებით დაამთავრა გალის საბავშვო სამხატვრო სკოლა, 2002 წელს კი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი მხატვარ-არქიტექტორის კვალიფიკაციით.

სამუშაო გამოცდილება: 2002 – 2011 აფხაზ და ქართველ ახალგაზრდა ხელოვანთა კავშირის თავმჯდომარე; აფხაზეთის კულტურულ-პოლიტიკური ცენტრის, არაფორმალური განათლების განყოფილების უფროსი; საერთაშორისო ხელოვანთა ფედერაცია GIFA-ს წევრი. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის განყოფილების სპეციალისტი, ახალგაზრდობის საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე, ახალგაზრდობის საქმეთა სამმართველოს უფროსი, განათლების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის სამრეწველო და მომსახურების ობიექტების ექსტერიერი და ინტერიერის პედაგოგი, აფხაზეთის მხატვართა გაერთიანების გამგეობის წევრი. 2003 წლიდან დღემდე დავით ბაძაღუა 11 პერსონალური და 17 ჯგუ-

ფური გამოფენის მონაწილეა საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ.

„როგორადაც არ უნდა ვაფასებდეთ ქართულ მხატვრობას, ერთი მისი თვისება, დარწმუნებული ვარ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, ვგულისხმობ ინდივიდუალობათა სიმრავლეს, ხედვის, მიდგომის, გადაწყვეტების, ნიჭისა თუ ხელწერის მიხედვით. ამგვარ მხატვრულ გარემოში განსაკუთრებით რთულია და საპატიო გქონდეს საკუთარი სახე და იმსახურებდე ხელოვნების მოყვარულთა ყურადღებას. პირველი, რაც ნათლად ჩანს დავით ბაძაღუას შემოქმედებაში, არის იმპროვიზაციის, თამაშის, წარმოსახვის აშკარა ნიჭი. ცხადია, ეს ხდება მხატვრული ენის ფლობის თითქმის თანდაყოლილი უნარის საფუძველზე, რომელიც მან განავითარა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სწავლისა და საკუთარ თავზე დაუზოგავი მუშაობის პროცესში. მხატვრული ენის ფაქტორებიდან, უპირველესად, თვალში საცემია აშკარად გამოხატული კოლორისტული ნიჭი. ხანდახან შეიძლება, რიგი მისი გადაწყვეტებისა, სადაოდ მოგვეჩვენოს, მაგრამ ის, რომ ფერით აზროვნებს, უდავოა. ამასთანავე, ეს არ არის უბრალოდ დეკორატიულად მეტყველი ფერი, არამედ იგი დაკავშირებულია ფერწერულ სტრუქტურასთან, გარკვეული ტიპის ნახატთან და შესაბამისად, ამგვარი სტრუქტურის თითქმის თანდაყოლილ გრძნობასთან. ლაქები, მონასმები, მასტეხინისა თუ ფუნჯის კვალი, მასალის (ძირითადად — აკრილი, ზეთი, გუაში, აკვარელი) გრძნობა, იმპროვიზირება და მხატვრული თამაში სასურათო ზედაპირზე ხშირად წარმატებულ რეზულტატს იძლევა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს თვითმიზნური, მარტივი და ცალსახა არასოდეს არის, არამედ მიმართულია სურათის სახოვანების შექმნაზე.

დავით ბაძაღუას განსაკუთრებით ეხერხება მუშაობა აბსტრაქტული და კონკრეტული სახვითი წყობის ზღვარზე. ცხადია, ნამუშევართა მთელ რიგ სერიებში უფრო კონკრეტიკა ჭარბობს, ზოგში მეტია აბსტრაჰირება, თუმცა იქაც ზოგიერთი ფორმა ასოციაციებსა და სახეებს ბადებს. ეს ამძაფრებს მისი სურათის პოლიფონიურ წყობას. მის შემოქმედებას ახასიათებს სერიულობა. განსაკუთრებით გამოვყოფდი რამდენიმე პეიზაჟს, ნატურმორტს და თავისუფალ კომპოზიციებს, რომლებიც მუსიკალურობით ხასიათდება. ყველა ამ ნიშნის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველ მხატვართა რიგებს, დათო ბაძაღუას სახით, კიდევ ერთი საინტერესო ინდივიდუალობა შეემატა.“ — წერს მის შესახებ ხელოვნებათმცოდნე **გოგი ხოშტარია.**

დავით ბაძაღუას ნამუშევრები ინახება ამერიკის, გერმანიის, ჰოლანდიის, ავსტრიის, თურქეთის, რუსეთის და ევროპის სხვა ქვეყნების კერძო კოლექციებში. იგი არის სხვადასხვა კულტურულ-შემოქმედებითი აქციის ორგანიზატორი.

„პირველად იყო სიტყვა...“

„.. ყოველი საიდუმლო
ამას ენასა შინა დამარხულ არს“
იოანე ზოსიმე

ვაჟა-ფშაველა

აღარ მწადიან ვიმღერო

აღარ მწადიან ვიმღერო,
მინდა დღედაღამ ვგალობდე;
მე რომ არ მწყალობს უფალი,
მე მაინც ვისმე ვწყალობდე;
მკლავს ნდომა დაუსაბამო,
მოყვასისათვის ვწვალობდე.
ვიცი, ტანჯული ამგვარად
უნდა ბოლო დროს ვხარობდე.
ვინც მიყვარს, გარდა იმისა,
მინდა სხვასაცა ვყვარობდე.
პირველისადმი ტრფიალსა
მეორეშია ვსახავდე;
ახ, ნეტავ სადმე შემეარა,
ასეთს არსებას ვნახავდე!

თვალებს დავემებ სხვაგვარსა:
სატრფოში სატრფოს მჩინარსა,
ფრთებს შევისხამდი ახალსა,
გულს მოვირჩენდი მტკივანსა;
დაგუბებული გრძნობები
ქარს ემსგავსოდა მხვივანსა,
და ახრიც მამაცობითა –
არწივსა, მთაზე მყივანსა,
იქნებ მეშველოს, გავცოცხლდე,
შევვედრი უფლის მდივანსა:

ხმა მიმიწვდინოს ღმერთამდე,
შევიქმნე ჩანგის მფლობელი;
გულს მესვას ენების ეკალი,
საღმთო ჭიმნების მშობელი,
კვლავ ვიყო აღტაცებული,
კეთილ ხმათ ხმებზე მწყობელი;
ჩემის ქვეყნისა გმირების
სახეთ შეფრქვევით მცნობელი, –
მიყვარდეს მოძულებული
ოხერი წუთისოფელი.

წმიდა მოწამე ევსტათი მცხეთელი (+551) 29 (11.08) ოქმები

წმიდა ევსტათი მცხეთელი წარმოშობით სპარსი იყო. იგი საქართველოში ჩამოვიდა და ქართლში დასახლდა. მას ისე მოეწონა ქართველთა ზნე-ჩვეულება, რომ გაქრისტიანება გადაწყვიტა, ეს კი იმ დროისათვის ძალიან საშიში იყო. გვირობანდაკმა (ასე ერქვა მას ნათლობამდე) კათოლიკოს სამოელის ხელით მიიღო ნათლობა და ქრისტიანული სახელი — ევსტათი ეწოდა. მალე მან ქართველი ქალი შეირთო და მთლიანად დაუმოყვრდა ქრისტესთან დამოყვრებულ ერს.

ერთხელ მცხეთელმა სპარსელებმა დღესასწაულზე მიიწვიეს ევსტათი, მაგრამ წმიდანმა შორს დაიჭირა: „მე ქრისტეს ბეჭდითა აღბეჭდილ ვარ და ბნელსა მაგას განშორებულ ვარო“, — შეუთვალა მან ძველ თანამემამულეებს. დღესასწაულის დამთავრების შემდეგ ცეცხლთაყვანისმცემლებმა მცხეთის ციხისთავთან, უსტამთან დაასმინეს ევსტათი. მან თავისთან დაიბარა წმიდანი.

ევსტათი ჯერ შეყოყმანდა, შემდეგ კი გაიფიქრა: „ესენი ჩემი მოყვარენი არიან და თუ ამათი შემეშინდება, სხვასთან როგორღა მოვიქცევი. წავალ და ცხადად ვაღიარებ ქრისტეს, რამეთუ წერილ არს: „რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, აღვიარო მეცა იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა და რომელმან უარმყოს მე წინაშე კაცთა, უვარ ვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა, რომელ არს ცათა შინა“.

უსტამმა სადაურობა გამოჰკითხა ევსტათის. წმიდანმა მიუგო: სპარსელი ვარ, არშაკეთის ხევიდან, ქალაქ განძაკიდან. მამაჩემი მოგვი იყო, მეც მოგვობას მასწავლიდა, მაგრამ ჩვენს ქალაქში ბევრი ქრისტიანი ცხოვრობდა, შევისწავლე მათი რჯული, ვარჩიე მოგვობას და ახლა ქრისტიანი ვარ.

უსტამს არ ჰქონდა დასჯის უფლება, ამიტომ ქართლის მარზპანთან, არვანდ გუშნასპთან გაგზავნა აღმსარებელი. შემასმენელნი კვლავ ეახლნენ მცხეთის ციხისთავს და აუწყეს, რომ კიდევ შვიდი სპარსელი შედგომოდა ქრისტეს სჯულს. რვავე ქრისტიანს ბორკილები დაადეს და თბილისში გაგზავნეს.

მარზპანმა მკაცრად დაჰკითხა ქრისტეს მსასოებელი სპარსელები. მათ უპასუხეს: „მამულსა-ღა ზედა რჩულსა ვიყვენით, სპარსთა რჩული ვიცოდით, ხოლო რაჟამს ქართლად შემოვედით და ქრისტიანეთა რჩული ვიხილეთ, ქრისტეანე ვიქმნენით და აწ ქრისტეანე ვართ, რამეთუ ქრისტეანეთა რჩული წმიდა და სურნელ არს და ფრიად კეთილ და შუენიერ არს, ხოლო სხუაჲ რჩული ვერ ესწორების რჩულსა ქრისტეანეთასა“.

განრისხებულმა მარზპანმა ბრძანა, სასტიკად დაესაჯათ ისინი: გაეპარსათ თმა და წვერი, გაეხვრიტათ ცხვირები, დაედოთ ბორკილები და საპყრობილეში ჩაეყარათ, ხოლო თუკი რომელიმე უარყოფდა ქრისტეს — შეეწყალებინათ.

ექვსი თვის შემდეგ მარზპანი სპარსეთის მეფემ თავისთან იხმო. ამით ისარგებლეს ქართლის კათალიკოსმა სამოელმა, მცხეთის მამასახლისმა გრიგოლმა, პიტიახშმა არშუშამ და სპარსეთს მიმავალ არვანდ გუშნასპს სთხოვეს, გაეთავისუფლებინა დილეგში ჩაგდებული სპარსი ქრისტიანები. არვანდ გუშნასპმა თხოვნა შეუსრულა ქართველ დიდებულებს, თუმცა დაამატა — ისინი მოსაკლავად მყავდა გამზადებულიო.

სამი წლის შემდეგ ქართლს მარზპანად ვეჟან ბუზმირი მოევლინა. მოგვებმა კვლავ დაასმინეს ევსტათი. წმიდა ევსტათი სამუდამოდ გამოეთხოვა ოჯახს: „ჯმნულმცა ვარ მე თქვენგან, რამეთუ მე აქა აღარა მოქცევად ვარ და ქრისტე მე არა უვარ მყო და მათ მე არღარა განმიტეონ ცოცხლებით, ხოლო სიკუდილი ჩემი ტფილისს ყოფად არს საპყრობილესა და თავი მოკუეთად არს ჩემდა, ხოლო გუამი ჩემი მოიწიოს აქვე ნებითა ღმრთისაჲთა“.

წმიდა ევსტათი შეევედრა ღმერთს: „უფალო ღმერთო იესუ ქრისტე, უკუეთუ ღირს მყო მე სიკუდილსა სახელისა შენისათჳს ქრისტიანობით, ჴორცთა ჩემთაჲ ნუ ჯერ გიჩნს განგდებაჲ გარე და შეჭმაჲ ძაღლთა და ფრინველთა ცისათაჲ, არამედ ჴორცთა ჩემთა ბრძანე აქვე მოქცევაჲ და დამარხვაჲ მცხეთასა, სადაც ნათელ მიღებიეს“.

წმიდა ევსტათი თბილისში ჩაიყვანეს და ვეჟან ბუზმირს მიჰგვარეს. ევსტათისგან მოსმენილი ქრისტიანული აღმსარებლობით გაკვირვებულმა და მისი სიმშვენიერით მოხიბლულმა ბუზმირმა ტკბილად მიმართა წმიდანს: „შვილო ჩემო ევსტათი, ისმინე ჩემი და ნუ დაიმცირებ დღეთა ცხოვრებისა შენისათა ქრისტეანებისათჳს და ნუ ქურივ სუამ ცოლსა შენსა და ობოლ შჳლთა შენთა და ნუ მოსწყდები მოყუასთა შენთა ამას ცხორებასა“. წმიდა ევსტათიმ განუცხადა, რომ ქრისტეს არ უარყოფდა. გაბრაზებულმა მარზპანმა ბრძანა, წმიდანი საპყრობილეში წაეყვანათ, ღამით კი თავი მოეკვეთათ და ქალაქგარეთ დაეგდოთ ფრინველთა საჭიჭგნად. ვიდრე საპყრობილეს მიაღწევდნენ, მან ითხოვა ლოცვისათვის დრო მიეცათ, მუხლი მოიდრიკა, თვალები ზეცად აღაპყრო და უფალს შეევედრა: „უფალო ღმერთო ყოვლისა მპყრობელო, რომელსა ყოველთა კაცთაჲ გნებავს ცხორებაჲ, რომელნი ესვენ სარწმუნოებით სახლსა წმიდასა შენსა; რომელმან ისმინე ლოცვაჲ პირველთა მათ მოწამეთაჲ... ამას ვილოცავ და გევედრები და ვითხოვ შენ სახიერისაგან, რათა არა დაეტეოს გვამი ჩემი აქა ტფილისს შინაა, არამედ რაჲთა დაემარხოს იგი მცხეთას წმიდასა, სადა იგი შენ გამომიჩნდი და რათა აქუნდეს მადლი და კურნებაჲ ძუალთა ჩემთა, ვითარცა იგი პირველთა მათ“. უცებ გაისმა ხმა: „არა უნაკლულეს იყო შენ პირველთა მათ მადლითა კურნებისათა, რომელთა ვჰრწმენე მე, ხოლო გუამისა შენისათჳს ნუ ჰზრუნავ, ეგრე იყოს, ვითარცა შენ სთქუ ყოფად“. მარზპანის მსახურებმა თავი წარკვეთეს წმიდა ევსტათის, გვამი კი ღამით გაიტანეს და ქალაქგარეთ დააგდეს.

ქრისტიანებმა ევსტათის ცხედარი მალულად წაასვენეს მცხეთას. მოწამის ნეშტს წმიდა სამოელ კათოლიკოსი (ხს. 30 ნოემბერს) შემოეგება და პატივით დაკრძალა სვეტიცხოველში, წმიდა ტრაპეზის ქვეშ.

„ქართველ წმიდანთა ცხოვრებანი“, თბილისი, 2004 წ.

ლოცვა

ჰოჲ, ღვაწლით შემოსილო, ახოვანო და შვენიერო წმიდაო მოწამეო ევსტათი, ნეტარსა მას სამყოფელსა შინა განსვენებულო და ღმრთისა პირისა მხილველო, ლოცვითა შენითა წმიდითა განანათლე ღვთივდაცული ერი ჩვენი და მეუფება მისი. შეიწყალე და აცხოვნე უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, დიდი მეუფე მამაჲ ჩვენი ილია, ყოვლად სამღვდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, პატიოსანნი მღვდელნი, ქრისტეს მიერ დიაკონნი და ყოველნი სამონაზონი წესნი ზიარნი მართლმადიდებელისა ეკლესიისანი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რათა შეგიწყალნეს ჩვენ საშინელსა და შესაძრწუნებელსა სამსჯავროსა მისსა და მიტევებისა და სიყვარულისა მისისა წყაროსა შინა შეწყნარებულნი და მისა მიმართ დაგებულნი დაუდუმებელად ვადიდებდეთ ქრისტესა ღმერთსა, რამეთუ მისა შვენის დიდება, პატივი და თაყვანისცემა თანადაუსაბამოჲთ მამით მისით და სახიერით და ცხოველსმყოველით სულით წმიდითურთ ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

საეკლესიო კალენდარი

1 სექტემბერი (ხუთშ.) — მოწ. ანდრია სტრატილატის და მისთანა 2593 მოწამეთა ხსენება (284-305წ.);
2 სექტემბერი (პარ.) — წინასწარმეტყველ სამუელის ხსენება (XI ს. ქრისტეს წინ);
3 სექტემბერი (შაბ.) — ღირ. თადეოზ სტეფანწმინდელის (VIს.) და მოციქულ თადეოზის, სამოცდაათთაგანის ხსენება (44წ.);
8 სექტემბერი (ხუთშ.) — მოწ. ანდრიანეს და ნატალიას ხსენება (305-311წ.);
9 სექტემბერი (პარ.) — ღირ. პიმენი დიდის ხსენება (დაახ. 450წ.);
10 სექტემბერი (შაბ.) — წმ. მოწამე დედოფალ **შუშანიკის** ხსენება (475წ.);
11 სექტემბერი, სულთმოფენობიდან მე-13 კვირა — თავისკვეთა პატიოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა და ნათლისმცემელისა იოანესი. მარხვა!
13 სექტემბერი (სამშ.) — დადება პატიოსნისა სარტყელისა ყოვლადწმინდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა (395-408წ.);
14 სექტემბერი (ოთხშ.) — გვირგვინი წელიწადისა და დაწყება ინდიქტისა;
— ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის კრება მიასინეს სავანეში (864წ.);
17 სექტემბერი (შაბ.) — ღირ. სვიმეონის, გარეჯის წინამძღვრის, წინასწარმხედველისა და საკვირველთმოქმედის ხსენება;
18 სექტემბერი, სულთმოფენობიდან მე-14 კვირა — წმ. იოანე ნათლისმცემლის მშობელთა, წინასწარმეტყველ ზაქარიას და მართალ ელისაბედის ხსენება;
19 სექტემბერი (ორშ.) — ხსენება საკვირველებისა მთავარანგელოზ მიქაელის მიერ კოლასეს შინა (ხონა) ქმნილისა (IVს.);
21 სექტემბერი (ოთხშ.) — შობა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა;
— წმ. აღმსარებელთა — იოანეს (მაისურაძე) და გიორგის (მხეიძე) ხსენება;
— დიდუბობა, გელათობა, შუამთობა, ბეთანიობა.
22 სექტემბერი (ხუთშ.) — წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა იოაკიმ და ანას ხსენება;
24 სექტემბერი, ჯვართამაღლების წინა შაბათი — კრწანისის ბრძოლაში თავდადებულთა — 300 არაგველთა და სასულიერო და საერო პირთა ხსენება (1795წ.);
25 სექტემბერი, სულთმოფენობიდან მე-15, ჯვართამაღლების წინა კვირა — წმ. მღვდელმთავრის გიორგი ჭყონდიდელის ხსენება;
26 სექტემბერი (ორშ.) — ჯვართამაღლების წინადღესასწაული:
— ენკენია, რომელ არს ხსენება ქრისტეს აღდგომის წმ. ტაძრის განახლება იერუსალიმში (335წ.);
— დიდმოწამე საქართველოს მნათობის, კახეთის დედოფლის ქეთევანის ხსენება (1624წ.);
27 სექტემბერი (სამშ.) — ჯვართამაღლება. წმ. იოანე ოქროპირის მიცვალება (407წ.);
28 სექტემბერი (ოთხშ.) — ღირ. ამბა იოსებ ალავერდელის ხსენება (570წ.);
29 სექტემბერი (ხუთშ.) — მოწ. ორთა ძმათა – ისააკ და იოსებ ქართველთა, კარნუ ქალაქში წამებულთა (808წ.);

.....

1 ოქტომბერი (შაბ.) — წმ. მთავარმოწამის ბიძინა ჩოლოყაშვილის და წმ. მოწამეთა შალვასი და ელიზბარის, ქსნის ერისთავთა ხსენება (1661წ.).

ჩვენი მოძღვარი

ბიძინება - დღე შარავიულ ნეტარ ცხოვრებაში შობისა

წმიდა ეკლესია უდიდეს დღესასწაულთა დაწესებით, ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულების არსს, საღმრთო აღმშენებლობის გზას წარმოაჩენს, რითაც საშუალებას აძლევს თითოეულ მორწმუნეს **(ეკლესის წიაღში)** ღვთაებრივი ცხოვრების თანაზიარი გახდეს.

წლიური საღვთისმსახურო ციკლი **(წრე)**, რომელიც მაცხოვრისა და ღვთისმშობლის, ანგელოზთა თუ წმინდანთა უძრავ დღესასწაულებს მოიცავს, ყოვლადწმიდა **ღვთისმშობლის შობის** დღესასწაულით **(ძვ.სტ. 8.09)** იწყება და **მიძინების (ძვ.სტ. 15.08)** მსახურებით სრულდება. აღნიშნული წრე **საეკლესიო წელიწადს** მიეკუთვნება, რომელიც **(ძვ. სტ-ით)** პირველი სექტემბრით იწყება და 31 აგვისტოს მსახურებით მთავრდება **(რაც ლიტურგიკული ღვთისმეტყველების თვალთახედვით, ქვეყნიერების შექმნიდან მეორედ მოსვლამდე დროის პერიოდს ეთანადება).**

მეტი გულისხმისყოფისათვის დავძენთ, რომ საეკლესიო წელიწადი პირობითად სამ პერიოდად იყოფა:

I. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობიდან (უფრო ზუსტად, საეკლესიო ახალი წლიდან — ძვ. სტ-ით პირველი სექტემბრიდან) მაცხოვრის შობამდე, რომელიც **ძველი აღთქმის პერიოდს, ანუ დასაბამიდან ღვთის განკაცებამდე**

(გაგრძელება მე-10 გვ.)

(დასაწყისი მე-9 გვ.)

დროის ინტერვალს შეესაბამება;

II. მაცხოვრის შობიდან ამაღლების დღესასწაულის (აღდგომიდან მე-40 დღე) წარგზავნამდე, რომელიც **მაცხოვრის ამქვეყნიურ ცხოვრებას ეთანადება;**

III. სულთმოფენობიდან (აღდგომიდან 50-ე დღე) ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულის წარგზავნამდე, **ანუ მიწიერი, მებრძოლი ეკლესიის დაარსებიდან ვიდრე მეორედ მოსვლამდე დროის პერიოდს მოიცავს.**

ამრიგად, ლიტურგიკული თვალსაზრისით, საეკლესიო წელიწადი არსობლივადაა დაკავშირებული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ამქვეყნიურ ცხოვრებასთან, და კაცთათვის არ არის რამ სხვა გზა უმჯობესი უფალთან ერთობისა, თუ არა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი განსაკუთრებული მოკრძალებისა, თაყვანისცემისა და მისდამი დაუცხრომელი ლოცვა-ვედრებისა.

ზემოხსენებული გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ეკლესია შემდგომად უფლისა, ყველაზე დიდ პატივს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს მიაგებს, რაც ნათლად არის წარმოჩენილი მიძინების დღესასწაულის საგალობლებშიც.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სადღესასწაულო მსახურებაში მონაწილეობით, მორწმუნე ადამიანს საშუალება ეძლევა:

ა) სულიერი მზერა საღმრთო ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდის ზოგიერთი ეპიზოდის ისტორიულ-ლიტურგიკულ თხრობას მიაპყროს, კერძოდ:

— იერუსალიმში მოციქულების სასწაულებრივ შეკრებას;

— მათ ბოლო საუბარს ღვთისმშობელთან;

— ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინებასა და დასაფლავებას;

— დასაფლავების შემდგომ მესამე დღეს მის გამოცხადებას და სხვა...

ბ) გაიაზროს ამ დღესასაწაულის უდიდესი მნიშვნელობა, ადამიანთა ხსნის საღმრთო აღმშენებლობის გზაზე, და მოზეიმე (ზეციურ) და მებრძოლ (მიწიერ) ეკლესიასთან ერთად მთელი გულით განადიდოს ღვთისმშობელი, და მარხვით, მღვიძარებითა და ლოცვით გამოითხოვოს მისგან შემწეობა ცხონების ურთულეს გზაზე.

ასეთ სულიერ მდგომარეობაში მყოფი მლოცველი ადამიანისათვის საცნაურდება, რომ ეს ცხოვრება ამაო საზრუნავით, სალმობით, იმედგაცრუებით, საცთურითა და სულიერი ტკივილითაა აღსავსე. ადამიანის სული ეკლესიის წიაღში აცნობიერებს წუთისოფლის ამაოებას, სადაც არ არის ჭეშმარიტი სიმშვიდე, ზეციური სიხარულის სისავსე, ბედნიერება, ღვთის წიაღში განსვენება და ნეტარება, არც სრულყოფილება. მაგრამ, მაინც გვეშინია **დროებითი (ხორციელი) სიკვდილისა** და მარადისობასთან შეხვედრისა. ძირითადი მიზეზი კი შემდეგშია: სათანადოდ არ გვიყვარს მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე. აკი ბრძანებს უფალი:... „უკუეთუ ვისმე **უყუარდე მე,** სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს,... ხოლო რომელსა **არა უყუარდე მე,** სიტყუანი ჩემნი არა დაიმარხნეს“ **(ინ. 14, 23-24).**

ამგვარად, ნაცვლად იესო ქრისტესი, დროებითი ცხოვრება, წუთიერი სიამენი შევიყვარეთ, მთელი არსებით ცოდვათა ზღვაში გადავეშვით, გული გავუხსენით მომაკვდინებელ ვნებებს და შედეგად სამართლიანი, მარადიული სასჯელის გვეშინია.

ბრძანებს უფალი: „ამინ, ამინ გეტყვი თქუენ, რამეთუ **რომელმან სიტყუანი ჩემნი ისმინნეს** და ჰრწმენეს მომავლინებელი ჩემი, აქუნდეს ცხორებაი საუკუნოი, და სასჯელსა იგი არა შევიდეს, არამედ **გარდაიცვალოს იგი სიკუდილისაგან ცხორებად“... (ინ. 5, 24).**

ამრიგად, თუ ყურად არ ვიღებთ წმიდა წერილის სიტყვებს ცხონებაზე და გავამრავლებთ ცოდვებს, ღვთის რისხვას დავიმსახურებთ, ხოლო უფალი, რომელსაც არ სურს ადამიანთა წარწყმედა, კვლავაც შეგვაგონებს და გვახსენებს **აპოკალიფსურ მოვლენებსა** და საშინელ აღსასრულს, რათა მარადჟამს ვიღვიძებდეთ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება თითოეული მორწმუნისათვის **განსვლა ამა ქვეყნიდან — დღე მარადიულ ნეტარ ცხოვრებაში შობისა,** რისთვისაც **საშინელ სამსჯავროზე** ფიქრით, ღვთის შიშითა და სიყვარულით, მთელი გულისყური ლოცვის შემდეგ სიტყვებს უნდა მივაპყროთ:

— „გეგულვების დაჯდომაჲ საყდართა ზედა, რომელმან შეჰქმენ სიტყვით ცანი და ქუეყანა, და გუეგულვების ყოველთა წარდგომაჲ შენდა და მითხრობად ცოდუათა ჩუენთა, უწინარეს უკუეი დღისა მის სინანულად შემინწყნარე, უფალო პირველ სრულიად წარწყმედად ჩემდამდე მაცხოვნე მე“ (დიდი მარხვის V შვიდეულის ოთხშაბათის მწუხრის ჟამნი, 351).

მლოცველ ადამიანს ზემომოხმობილი სიტყვები, **წმ. ანდრია კრეტელის** შემდეგ ლოცვებსაც გაახსენებს:

— „სულო ჩემო, სულო ჩემო, აღჰსდეგ, რასა **გძინავს,** აღსასრული მოახლებულ-არს, და გეგულუების აღშფოთება. **განიღვიძე,** რათა შეგიწყალოს შენ ქრისტემან ღმერთმან, რომელი ყოველგან არს და ყოველსავე აღავსებს“ (რომლის გალობასაც წმიდა ეკლესია დიდი მარხვის I შვიდეულის პირველ ოთხ დღეს განაჩინებს).

— „იხილეთ იხილეთ, რამეთუ მე ვარ მეუფე, **ისმინე შენ სულო ჩემო,** ღაღადება უფლისა, და ევლტოდე პირველსა ცოდუასა და ჰსძრწოდე, ვითარცა მსაჯულისა, და ვითარცა ღვთისაგან“ (დიდი მარხვის I შვიდეულის ოთხშაბათის სერობის ჟამნი, ანდრია კრეტელის კანონის მე-2 გალობა).

ამგვარად, უთუოდ უნდა გვახსოვდეს **ამასოფლიდან ჩვენი განსვლის (მიძინების) გარდაუვალობა და ჟამი,** და ღვთისაგან ძალა და სიმხნევე ვითხოვოთ უხილავ მტრებთან საბრძოლველად. ყოველი აზრი, ყოველი სურვილი და ქმედება, ზედმიწევნით უნდა გამოვიძიოთ მარადიული ცხოვრების ფონზე, რათა საყოველთაო აღდგომასა და საშინელ სამსჯავროზე ფიქრით, ვნების ალი დავშრიტოთ, **განვეშოროთ უჯერო ცხოვრებას** და გოლგოთის მძიმე, მაგრამ მაცხოვნებელ გზას შევუდგეთ. აკი შეგვაგონებს უფალი მოციქულის პირით:... „კმა არიან ჩუენდა წარსულნიცა იგი ჟამნი ამის ცხორებისანი, ნებისა მისებრ წარმართთაჲსა აღსრულებად“... **(1 პეტრ. 4.3).**

სადღესასწაულო მსახურების საკითხავებში ნათლად ჩანს, თუ როგორ ეგებებოდა მიძინებას ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი. მისთვის ეს იყო მეტად ნანატრი დღე, დღე — უფალთან შეხვედრისა, დღე — ნეტარი განსვენებისა, არამიწიერი, ზეციური, მარადიული სიხარულისა, **დღე — მარადიულ ნეტარ ცხოვრებაში შობისა,** სადაც მართალთათვის ყოვლითურთ სავსე, კეთილისგან მოუკლებელი, სრულყოფილი და ნეტარი ცხოვრება სუფევს, რასაც ასე გადმოსცემს ჰიმნოგრაფი:

—... „იგი წარსრული სავანესა შინა საუკუნესა **მხიარულ არს,** და მივალს **ზეცისა სიხარულად, საღმრთოსა შინა სიხარულსა და საუკუნესა საშუებელსა“** (მიძინების დღესასწაულის განგების მც. მწუხრის „უფალო ღაღად-ვჰყავსა ზედა“ I დასდებელი).

— „შენ ხარ ტაძარი ცხოვრებისა, ამისთვისცა **ცხოვრებად მიიცვალე, სიკვდილითა შენითა,** დღეს აღჰხედ კამარათა ცისათა, და ძისა შენისა თანა ღირს-იქმენ სუფევისა“ (იქვე, საცისკრო კანონთა მე-6 გალობის II კანონის ბოლო ტროპარი).

— „ძლეულ იქმნეს, ბუნებანი მეტყველნი, შენთვის ქალწულო უბიწოო, ქალწულებრივი შობა, და **სიკვდილი ცხოვრების მომცემელი,** და შემდგომად შობისა ქალწულად ჰგიე **და მოკვდავი, ცხოველხარ ღვთისმშობელო,** სამართლად გადიდებთ“ (იქვე, საცისკრო კანონთა მე-9 გალობის I კანონის ძლისპირი).

ჭეშმარიტი მორწმუნისათვის სანატრელია ცოდვილ მიწაზე ამგვარი დასასრული, რასთანაც მხოლოდ ერთადერთი გზა, **გოლგოთის გზა** მიგვაახლებს, გზა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სათნო ცხოვრებისადმი მიბაძვისა, გზა მისდამი დაუშრეტელი ლოცვა-ვედრებისა, გზა სინანულისა, თავმდაბლობისა, მორჩილებისა, **ჯვარცმისა, აღდგომისა და ამაღლებისა.**

წმიდა სამების ლავრის
მღვდელმსახური
დეკანოზი ბიძინა (გუნია)

/გაგრძელება შემდეგ ნომერში/

დავით ბაძაღუას შემოქმედება

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ალექსანდრე ფარფალია, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 93-17-20, 895-41-21-70. ტირაჟი: 500 ცალი